დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს
ტელ. : 2 409 477; 2 409235
მობ: 577 10 99 88; 577 13 90 00
pr@gpb.ge , info@gpb.ge

PRIX EUROPA 2013
THE EUROPEAN BROADCASTING FESTIVAL

საზოგადოებრივი რადიო PRIX EUROPA 2013-ის ნომინანტია

საზოგადოებრივი მაუწყებლის „რადიო 1“ ის პროექტი 2013 წლის ევროპის მაუწყებელთა ფესტივალის PRIX EUROPA 2013-ის მხატვრული რადიო პროდუქციის კატეგორიაშია ნომინირებული.

ევროპის მაუწყებელთა ფესტივალის ჟიურიმ ევროპის 35 ქვეყნის მიერ წარდგენილი 670 მასალიდან ერთ-ერთ ნომინანტად საზოგადოებრივი რადიოს პროდუქცია „შარვლიანი ღრუბელი“ დაასახელა.

2013 წლის ევროპის მაუწყებელთა ფესტივალის PRIX EUROPA 2013-ის გამარჯვებულებს 25 ოქტომბერს სპეციალური ჟიური გამოავლენს, ხოლო 26 ოქტომბერს დაჯილდოების ცერემონია გაიმართება.

ევროპის მაუწყებელთა ფესტივალი PRIX EUROPA 1987 წლიდან ყოველწლიურად ტარდება, ის ევროპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრესტიჟული ფესტივალია ტელერადიო და ონლაინ მედიისთვის.